დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს ოქლიფის სკოლა

შეფასების თარიღები: 10 და 11 ნოემბერი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 09 დეკემბერი, 2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს ოქლიფის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215149284

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N 33ა, არასაცხოვრებელი ფართი N 5
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N 33ა, არასაცხოვრებელი ფართი N 5
საფოსტო ინდექსი	0179
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.oakleaf.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	contact@oakleaf.edu.ge
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0322001243
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	მაია გურგენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599977002
ელ-ფოსტა	maia.gurgenizde@englishbookeducation.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ოქლიფის სკოლაში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2022 წლის 19 სექტემბრის MES 2 22 0001116437 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	10 და 11 ნოემბერი, 2022 წელი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ქეთევან ბაცანკალაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	მაკა ჭიაბერაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***ხარვეზი***
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	**შპს ოქლიოფის სკოლამ მოსწავლეთა პირველი ნაკადი 2021 წლის სექტემბერში მიიღო. მცირე კონტიგენტის მიუხედავად, სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 2022-2023 სასწავლო წელს გასამმაგებულია, რაც მოსწავლეთა და მშობელთა მაღალი კმაყოფილების დონის მაჩვენებელია.** **დაწესებულება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანთან ერთად, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს სთავაზობს მომსახურების ისეთ ნაკრებს, რომელიც მათ საშუალებას მისცემს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ე.წ. მოსამზადებელი წლის გარეშე ჩაირიცხონ. ამ მიზნით, შპს ოქლიოფის სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საერთაშორისო ორგანიზაციასთან Education Pathways Group Ltd (International Foundation Group), რომელსაც აქვს საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გარდა ამისა, დაწესებულების დამფუძნებელი ორგანიზაცია შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენი, წლების მანძილზე ახორციელებს საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგ-სემინარებს ინგლისურენოვანი პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვის მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს გამოცდილება, პარტნიორული კავშირები, თანამედროვე რესურსები თავისთავად დანერგილია შპს ოქლიფის სკოლაში. **ასევე, შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენის დახმარებით ხორციელდება არაერთი გაცვლითი პროგრამა უცხოეთის პრესტიჟულ სკოლებში. ამ პროგრამების საშუალებით, საქართველოს სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლის მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა, სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით, ისწავლონ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. შპს ოქლიფის სკოლაც წარმატებით ნერგავს ამ პრაქტიკას თავის მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, ისარგებლონ სკოლის დამფუძნებელი ორგანიზაციის, შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენის, მრავალწლიანი გამოცდილებით საერთაშორისო განათლების ასპარეზზე.**

დაწესებულების მისია	„ოქლიფის სკოლა“ არის მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო დაწესებულება რომლის მისიაა: აღზარდოს პირობისეული ცოდნით აღჭურვილი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, რომელიც ინტერკულტურული დიალოგის წარმართვით შეძლებს კარგად გაიაზაროს საკუთრი თავი და კულტურა, დაინახოს საკუთრი ადგილი მსოფლიოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**რეკომენდაცია არ გაცემულა**

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 75	**ექსპერტი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	**ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შპს ოქლიფის სკოლას აქვს რესურსი, სასწავლო პროცესი განახორციელოს 90 მოსწავლისთვის.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიოფის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, აზუსტებს სკოლისათვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას და განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოდგენილია ერთიანი სახით და შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართებისაგან. ძირითადი ნაწილი მოიცავს სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებს, მისიას, მიზნებს, განათლების ენებს, საგანმანათლებლო პრინციპებს და მეთოდიკურ ორიენტირებს, სასწავლო წლის კალენდარს, მოსწავლეთა რაოდენობას, სკოლის საერთო კულტურას, დამრიგებლის მოვალოებებს, დეპარტამენტების სტრუქტურასა და საქმიანობას, მოსწავლის შეფასების სისტემას, საათობრივ ბადეს. დანართში წარმოდგენილია საგნობრივი თემატური გეგმები, საგნების სწავლების ზოგადი დახასიათება, მიზნები და ამოცანები, შეფასების ზოგადი და კონკრეტული რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, სასწავლო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი. სკოლაში დამკვიდრებულია პროექტული სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის მე-7 მუხლის პუნქტი 2. შესაბამისად. სკოლა მუშაობს შემდეგი პრიორიტეტული თემების სასკოლო კულტურაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დანერგვისათვის: ჯანსაღი ცხოვრება, გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობა და ადამიანის უფლებები. ხორციელდება შემდეგი პროექტები: „ჯანსაღი ცხოვრება ჩვენი არჩევანია“ (X კლასი), ლტოლვილთა კრიზისი ევროპაში - გამომწვევი მიზეზები და შედეგები (X კლასი), ენერგიის განახლებადი და არაგანახლებადი წყაროების გეოგრაფია და გავლენა გარემოზე (XI კლასი), შრომითი უფლებები საქართველოში (X კლასი), ფინანსური მონაცემების ანალიზი და პროცესების პროგნოზირება; (X კლასი), მცირე საწარმოს მართვის, ხარჯებისა და მოგების ოპტიმიზაცია; (XI კლასი), სავალუტო კურსები და საბანკო ანაბრები (XII კლასი). „ატენის სიონის ფრესკები და წარწერები“. (X კლასი), ‘‘საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება. ძველი თბილისი და მისი სალოცავები“ (X კლასი). სასკოლო ბიბლიოთეკაში იგეგმება შეხვედრები თანამედროვე მწერალებთან ლიტერატურული დისკუსიებისა და საუბრის გამართვის მიზნით. სკოლას გააზრებული აქვს კონსტრუქტივისტული პარადიგმის ხუთი საგანმანათლებლო პრინციპი: • მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურება; • ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; • ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება; • სწავლის სტრატეგიების დაუფლება (სწავლის სწავლა); • ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულის და პირობისეულის) დაუფლება; 2021 წელს სკოლამ შეიძინა სტრატეგიული პარტნიორი Education Pathways Group Ltd (International Foundation Group), რომელსაც აქვს საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება. თანამშრომლობის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების მომზადებას სოციალურ მეცნიერებებსა და ბიზნესში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სპეციალური პროგრამებით. სკოლის სასწავლო გეგმაში დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურების სახით ინტეგრირებულია საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამა, რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაშიც მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ სკოლის დასრულების შემდეგ წარმატებით ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები ან სურვილის შემთხვევაში თავისუფლად გაემგზავრონ სწავლის გასაგრძელებლად გაერთიანებული სამეფოს უმაღლეს სასწავლებელში. შპს ოქლიფის სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მომსახურებას, ისე საერთაშორისო მოსამზადებელ (IFG) პროგრამას დამატებით სავალდებულო საგნების სახით. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში ჩართულია როგორც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, ასევე საერთაშორისო პარტნიორები. მისიაში განსაზღვრულია ყველა ის ძირითადი ღირებულება, რომლებიც უნდა დამკვიდრდეს სკოლაში. ოქლიფის სკოლაში სწავლის გაგრძელების მსურველ მოსწავლეებთან ხდება მათი წინარე ცოდნის დადგენა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მუშაობა მათი რეალურად არსებული დონის გათვალისწინებით. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში ისწავლება ისეთი საგნები, როგორიცაა: აკადემიური ინგლისური, ბიზნეს ინგლისური, ბიზნეს მენეჯმენტი, ეკონომიკა, კომუნიკაციის უნარები, კარიერის დაგეგმვის, მათემატიკისა და სტატისტიკის გაკვეთილები. სკოლაში არის 2 დეპარტამენტი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ენების და საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების, სამოქალაქო განათლების, აკადემიური ინგლისურის, ბიზნეს ინგლისურის, ეკონომიკის, კომუნიკაციის უნარების, კარიერის დაგეგმვის, არჩევითი საგნების: საზოგადოებრივი გეოგრაფია, თანამედროვე დასავლური ლიტერატურა და სოციალური მეცნიერებების მასწავლებლები. • მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის, ბიზნეს მენეჯმენტის, მათემატიკა და სტატისტიკის, სპორტის მასწავლებლები; სკოლაში შექმნილი დეპარტამენტები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა მათი პედაგოგიური პრაქტიკის არსებითი მახასიათებლები: აკადემიური თავისუფლება, წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე, გაზიარებული თანამშრომლობითი კულტურა. ყოველივე ამის გათვალისწინებითა და სკოლის ვებგვერდის https://oakleaf.ge შესწავლა-გაცნობით დადგინდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ოქლიფის სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა; 2. საგანმანათებლო პროგრამები; 3. სკოლის დებულება; 4. სკოლის შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	5. სკოლის ვებგვერდი: https://oakleaf.ge 6. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას მხოლოდ საშუალო საფეხურზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლის სასწავლო წლის ორგანიზება, სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადე, საგნობრივი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები შესაბამისობაშია საშუალო საფეხურის ძირითად მოთხოვნებთან. საგნობრივ სასწავლო პროგრამებში გაწერილია საფეხურის ძირითადი ამოცანები, მისაღწევი შედეგები (საშუალო საფეხურისათვის), სასწავლო აქტივობები და მეთოდები. სკოლის საათობრივი ბადე განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელ კვირეულ და წლიურ დატვირთვის ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით. დამატებით არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდებისთვის მოსამზადებელ პროგრამას: SAT და (IELTS/TOEFL), ასევე აბიტურის კურსს საგნებში: ისტორია/ ბიოლოგია/ქიმია. **სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საათობრივი ბადე შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მეორე უცხოურ ენაში (იაპონური/გერმანული) მოსწავლეები ჯგუფდებიან ენის ფლობის დონეების მიხედვით. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსს. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად სკოლა იყენებს შემაჯამებელი დავალების სხვადასხვა ფორმას (წერითი/ზეპირი-პრეზენტაცია): კომპლექსური კონტექსტის დავალებები, ტესტი, თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი და ღონისძიებები. სკოლაში შემუშავებული შემაჯამებელი დავალების ანალიზის ერთიანი ფორმა. ასევე დადგენილია გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის ერთიანი წესი. შემაჯამებელი დავალებები უნდა შესრულდეს სემესტრის დასრულებამდე 2 კვირით ადრე. შემაჯამებელი დავალებები (მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა) და მათი ანალიზი ინახება დეპარტამენტში საგნის პორტფოლიოში. სწავლა სწავლების პროცესებისა და შედეგების შესწავლა-გაანალიზება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა ხორციელდება პერმანენტულად, მონაცემთა ანალიზის საფუძველზე. ინსტრუმენტებად გამოყენებულია : • მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის და ადმინისტრაციის გამოკითხვა; • მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, მოსწავლეთა გაცდენების მაჩვენებლები; • მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასკოლო ღონისძიებებში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დაგეგმილი და განხორციელებული სასწავლო პროექტების რაოდენობა და ხარისხი; სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებულია სასკოლო აქტივობების ხარისხით მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევა. სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ოქლიოფის სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა; 2. სადამრიგებლო პროგრამა; 3. სკოლის შინაგანაწესი; 4. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი; 5. მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარები; 6. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება; 7. სკოლის ვებგვერდი https://oakleaf.ge
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ორიენტირებულია განავითროს ისეთი საგანმანათლებლო სივრცე, რომელშიც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს იგრძნობს სოციუმის სრულუფლებიან წარმომადგენლად. სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, ემოციები, ინტერესები, პირადი გამოცდილება, აკადემიური საჭიროებები და სწავლის სტილი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ერთად იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები. მოსწავლეებისათვის მზადდება ალტერნატიული დავალებები, რითაც მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის გაკეთების საშუალება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მექანიზმები, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების პირველადი მართვა, მულტიდისციპლინური გუნდის ინფორმირების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში მიღების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აღმოჩენის შემთხვევაში მოქმედებისა და ამგვარი მოსწავლის სტატუსის მოხსნისა და სტატუსის ხელახლა მინიჭების წესი. ამჟამად სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლა ადამიანური და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით მზადაა განახორციელოს შესაბამისი სწავლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ოქლიოფის სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა; 2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების სასწავლო პროცესშიინტეგრირების წესი; 3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება; 4. შენობის ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიოფის სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შემუშავებულია შეფასების სქემები, რუბრიკები საგნების მიხედვით, რომლებიც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე მიეწოდებათ სკოლის მოსწავლეებს School book-ის საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინტერვიუირების პროცესით დადასტურდა, რომ მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა დავალების შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ისინი აღნიშნავენ, რომ, მაგალითად, წერითი ფორმის შემაჯამებლ თუ საკლასო დავალებებს თავფურცლის სახით ყოველთვის თან ერთვის შეფასების კრიტერიუმები, რაც მოსწავლეებს წარმოდგენას უქმნის არამარტო ნამუშევრის შეფასებასთან დაკავშირებით, არამედ, როგორც ერთგვარი გზამკვლევი, ეხმარება დავალების შესრულების პროცესშიც. სასწავლო პროცესში გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. ერთი მხრივ, ფასდება მოსწავლის მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში და მეორე მხრივ, თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა. განმსაზღვრელი შეფასებისათვის გამოყენებულია შეფასების 10 ქულიანი სისტემა, განმავითარებელი შეფასებისათვის კი - მასწავლებლის ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები, თვითშფასება და სხვა. სპორტში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ გამოიანგარიშება წლიური/ საფეხურის ქულის გამოთვლისას. სასკოლო სასწავლო გეგმაში შემუშავებული და განსაზღრულია საგნის სემესტრული//წლიური ქულების გამოანგარიშების წესი. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა სპორტში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგანში. შემუშავებულია ამ ბარიერის დაუძლევლობის შემთხვევაში მოსწავლისათვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ამასთანავე მშობლებთან მოსწავლის აკადემიური მოსწრების ინფორმირების წესები. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ოქლიფის სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა; 2. სოლის შინაგანაწესი; 3. სკოლის წარმომადგენლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიფის სკოლაში შემუშავებულია მშობელთან კომუნიკაციის წესი; გარდა ამისა, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი გაწერილია კლასის დამრიგებლის ფუნქციებში. კლასის დამრიგებელი ვალდებულია რეგულარულად, თვეში ერთხელ (მეილით, წერილით, პირისპირ შეხვედრის დროს ან SchoolBook-ით), მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ ინდივიდუალურად. სასწავლო წლის ბოლოს დამრიგებლების მიერ ხდება თითოეული მოსწავლის მიღწევების გაანალიზება და მზადდება თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ამრიგად, სასკოლოს სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მისი სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ოქლიოფის სკოლაში მშობელთან კომუნიკაციის წესი; 2. შპს ოქლიოფის სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა; 3. მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი, სადაც აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების პროცედურები რელევანტური ინსტრუმენტების გამოყენებით. სკოლის შეფასების მიზნით შესწავლილ მონაცემებსა და გამოსაყენებელ ინსტრუმენტებსწარმოადგენს: • მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრება (უმიზეზოდ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა); • სკოლიდან მოსწავლეთა გადინების ხარისხი (მიზეზების კვლევა); • სასწავლო კურსების განვითარება; • სკოლაში გატარებული დროის ხანგრძლივობა (ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებსა და პროექტებში. დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებაში); • ტესტების/შემაჯამებელი დავალებების შედეგები. სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარების პროცესი ემყარება მტკიცებულებათა შეგროვებას, ანალიზსა და მის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაკეთებულ დასკვნებს, SWOT ანალიზის საშუალებით სკოლაში ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მახრეების გააზრება და პრევენციული ღონისძიებების დაგემვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ოქლიოფის სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა; 2. მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლების კითხვარები; 3. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი. 4. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიფის სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისში, მისამართზე: ილია ჭავჭავაძის გამზირი N33ა, (არასაცხოვრებელი ფართი N5 და არასაცხოვრებელი ფართი N6). აღნიშნულ მისამართზე მდებარეობს ორსართულიანი შენობა, რომელიც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით 2 დამოუკიდებელი ფართისგან შედგება: 1. არასაცხოვრებელი ფართი N5 (-1 სართული, 137,30 მ2) და 2. არასაცხოვრებელი ფართი N6 (1 სართული, 137,30 მ2). ეს ფართი არის შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენის (ს/კ 205216023) საკუთრებაში (ამავე შპს-ს საკუთრებაშია შპს ოქლიფის სკოლაც). შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენმა კუთვნილი ფართი გადასცა ქვემეიჯარეს - შპს Unique Learning-ს (ს/კ 404921545), ხოლო თავის მხრივ შპს Unique Learning-მა გადასცა ფართი ქვემოიჯარე შპს ოქლიფის სკოლას 2030 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მხარეებს შორის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, რაც ასევე დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრში ფართი არის დაფიქსირებული, როგორც -1 და 1 სართული, რეალურად შენობა ორ სართულიანია, რომლის პირველი სართული მიწის დონიდან მთლიანად ზემოთ არის განთავსებული, სრულფასოვანი სართულის სახით. სკოლისგან თავისუფალ დროსა და სივრცეში (მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმით და გაკვეთილების ცხრილით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ან/და სკოლისათვის უქმე და დასვენების დღეებში) განხორციელდება შპს Unique Learning-ის მიერ უცხო ენათა ცენტრის ფუნქციონირება. ცენტრის ფუნქიონირების დრო და საათები რეგულრიდება დაწესებულებებს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებითა და შპს ოქლიფის სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დირექტორის 20.08.2021 წლის N 02-08 ბრძანების თანახმად. აღსანიშნავია, რომ დამატებითი ფართით სარგებლობის მიზნით, მიმდინარე წლის 22 ივნისს შპს ოქლიფის სკოლამ გააფორმა იჯარის ხელშეკრულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან „თერგი XXI“. აღნიშნული ფართი (156.80 კვ.მ.) მდებარეობს სკოლის ორსართულიანი შენობის გვერდით განთავსებული მრავალბინიანი კორპუსის პირველ სართულზე, რომელსაც აქვს იზოლირებული შესასვლელი და არ იკვეთება კორპუსი მაცხოვრებლების საერთო სადარბაზოსთან. დამატებითი ფართის იჯარით სარგებლობასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ხელშეკრულება და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ახლად დამატებული ფართის სარემონტო სამუშაოები დასრულდა ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის შემდგომ, რის გამოც, აღნიშნული ფართი არ არის ასახული თვითშეფასების კითხვარში. დაწესებულებამ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წერილობითი ფორმით აცნობა ახალი ფართის დამატების შესახებ (შპს ოქლიფის სკოლის 2022 წლის 29 სექტემბრის N04/040 წერილი).
ფაქტობრივი მისამართი	1. ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N33ა, არასაცხოვრებელი ფართი N5 და N6 2. ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N33ა, არასაცხოვრებელი ფართი N1
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	1. N 01.14.14.012.003.01.502 & N 01.14.14.012.003.01.501 2. N 01.14.14.012.003.01.503

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

კვ.მ.	1. 274,6 კვ.მ. 2. 156.80 კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	1. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან; 2. ქვეიჯარის ხელშეკრულებები; 3. აზომვითი ნახაზები; 4. შპს ოქლიფის სკოლის დირექტორის 20.08.2021 წლის N 02-08 ბრაძანება; 5. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიფის სკოლის ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე განთავსებულია 1 საკლასო ოთახი, ხოლო მეორე სართულზე განთავსებულია 4 საკლასო ოთახი. სკოლის ახლად დამატებულ ფართში განთავსებულია 3 საკლასო ოთახი. **სულ საკლასო ოთახების რაოდენობა ორივე ბლოკში - 8.** დაწესებულების ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური სკამებითა და მერხებით, დაფით, მონიტორით და კომპიუტერით. საკლასო ოთახების აღჭურვილობა და სასწავლო გარემო ხელს უწყობს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელებას. ვიზიტის პროცესში, ექსპერტებმა აღრიცხეს **90** ინდივიდუალური მერხი და სკამი, რაც სრულად აკმაყოფილებს სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში მოთხოვნილ კონტიგენტს - 75 მოსწავლეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შიდა აზომვითი ნახაზები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 3. ვიზუალური დათვალიერება; 4. სკოლის ბუღალტერთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის არსებულ ინფრასტრუქტურას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი ან მოედანი. სპორტული დარბაზით სარგებლობის მიზნით, შპს ოქლიფის სკოლას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ხელშერკულება აზუსტებს დარბაზით სარგებლობის წესებს, კვირის დღეებსა და დროს. გარდა ამისა, სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ სკოლის ორსართულიანი შენობის გვერდით მდებარე გარე სპორტული მოედანი, რომელიც მუნიციპალიტეტის კუთვნილებაა. დაწესებულებამ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მერიასთან 2022 წლის 25 ოქტომბერს გაგზავნილი N 04/049 განცხადება, აღნიშნული მოედნით სარგებლობის ნებართვასთან დაკავშირებით. ვიზიტის პერიოდში, სკოლას ჯერ არ ჰქონდა მიღებული მერიისგან საპასუხო წერილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება სპორტის საგნის სწავლების ორგანიზებული უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ; 2. შპს ოქლიფის სკოლის N 04/049 განცხადება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიფის სკოლის ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორტორია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ლაბორატორიის სამუშაო მაგიდის ცენტრალურ ნაწილში დამონტაჟებულია ორი ონკანი, რაც ამარტივებს სასწავლო ექსპერიმენტის დროს სველი წერტილის გამოყენებას. ცდებისთვის განკუთვნილ სადემონსტრაციო მაგიდაზე გადაკრულია შესაბამისი დამცავი ზედაპირი და დამონტაჟებულია დამცავი ეკრანი. ლაბორატორიაში განთავსებულია ინვენტარის შესანახი კარადები, სპეციალური სეიფი ექსპერიმენტებისათვის განკუთვნილი ნივთიერებების დასაცავად, გაკრულია თემატური პოსტერები და ლაბორატორიით სარგებლობის წესები. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის საჭირო რეაქტივების განახლება/შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ლაბორატორიის ოთახს აქვს ბუნებრივი განიავების საშუალება. ასევე, სკოლას ვიზიტის პერიოდისთვის შეძენილი ჰქონდა გამწოვი, რომლის დამონტაჟებაც იგეგმებოდა უახლოეს მომავალში. დაწესებულებამ წარმოადგინა გამწოვის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შპს ოქლიფის სკოლის ლაბორატორია შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. ლაბორატორიის ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 3. გამწოვის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 4. რეაქტივების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 5. ბუღალტერთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ორივე შენობას ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტ რეჟიმში. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სანიტარულ-ჰიგიენური პირობები სკოლაში დაცულია. ორსართულიანი შენობის ორივე სართულზე განლაგებულია ინდივიდუალური სველი წერტილები - 2 სველი წერტილი II სართულზე, ხოლო 1 ადაპტირებული სწველი წერტილი I სართულზე. ახალ ფართში განთავსებულია სამი ინივიდუალური სველი წერტილი - აქედან ერთი ადაპტირებული საპირფარეშო. ორივე შენობისათვის დამონტაჟებულია ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გათბობის სისტემები. გათბობის ქვაბები დამონტაჟებულია შენობების გარეთ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. კომუნალური გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 2. ვიზუალური დათვალიერება; 3. შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ პარტნიორის გადაწყვეტილება კაპიტალში შენატანისგანხორციელების შესახებ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ახალ ფართში განთავსებულია ბიბლიოთეკა და მცირე სამკითხველო. სკოლაში დასაქმებულია ბიბლიოთეკის მენეჯერი, რომელიც წიგნად ფონს აღრიცხავს თანამედროვე ციფრული მეთოდით, პროგრამა Open Biblio-ს გამოყენებით. ამჟამად სკოლის ბეჭდური წიგნადი ფონდია 400-ზე მეტი ერთეული, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მეთოდური ლიტერატურა, მასწავლებლების დამხმარე წიგნები და მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკართან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მიმდინარეობს წიგნადი ფონდის მუდმივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შევსება და განახლება. ამაზე მეტყველებს წინა მონიტორინგისა და მიმდინარე ვიზიტს შორის პერიოდი, როცა წიგნების რაოდენობა გასამმაგდა. გარდა ამისა, დაწესებულება სარგებლობს ელექტრონული პორტალებით (www.perlego.com; https://pharos.intfoundationgroup.co.uk), რომელზეც განთავსებულია ათასობით ციფრული რესურსი, წიგნი და სახელმძღვანელო სხვადასხვა საგნობრივი სპეციფიკისა და თემატიკის გათვალისწინებით. აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. სკოლას გამოწერილი აქვს პერიოდული გამოცემა National Geographics. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 2. შპს ოქლიფის სკოლის ბიბლიოთეკის დებულება; 3. ხელშეკრულება პერიოდული გამოცემა National Geographics-ის გამოწერის თაობაზე; 4. ბიბლიოთეკის მენეჯერთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მიმდინარე სასწავლო წელს, სკოლაში არ ირიცხება სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა და გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებისათვის. სკოლის ორივე ფართის შესასვლელი მარტივად შეღწევადია ეტლით მოსარგებლეთათვის. ხოლო ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე ასასვლელად, სკოლას შესყიდული აქვს მოძრავი და კიბეზე დასამონტაჟებელი პანდუსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ორივე შენობაში განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები. ახალ ფართში განთავსებული სველი წერტილის კარი იღება ორივე მიმართულებით, რაც ეტლით მოსარგებლე პირებისათვის ამარტივებს გადაადგილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიფის სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში არის მუდმივი ინტერნეტისათვის აუცილებელი ქსელური გაყვანილობა, მაგრამ ასევე ორივე შენობაში ფიქსირდება უკაბელო ინტერნეტი (WiFi), რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის ორივე შენობის ნებისმიერ წერტილში. ახლად დამატებულ ფართში მოწყობილია თანამედროვე კომპიუტერული სივრცე, რომლითაც სარგებლობა მოსწავლეებს შეუძლიათ როგორც საგაკვეთილო პროცესის დროს, ასევე კლასგარეშე პროექტებისა და აქტივობების განსახორციელებლად. სკოლის მფლობელობაში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები და აღჭურვილობა წარმოდგენილია შემდეგი რაოდენობით: 1. პერსონალური კომპიუტერი - 12; 2. ლეპტოპი - 12 3. პროექტორი - 5; 4. ეკრანი - 5; 5. პროექტორის ეკრანი - 2; 6. მულტიფუნქციური ფერადი პრინტერი - 1;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	7. მულტიფუნქციური პრინტერი/ქსეროქსი - 2; დაწესებულება სარგებლობს ვებ-გვერდით www.oakleaf.ge და სოციალური გვერდით Oakleaf-School. ორივე მათგანს აქვს ინფორმაციული და საკომუნიკაციო დანიშნულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენის პარტნიორის გადაწყვეტილება კაპიტალში შენატანის განხორციელების შესახებ; 3. ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება; 5. სკოლის ვებგვერდი https://oakleaf.ge
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში განთავსებულია ცეცხლმაქრები საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში (4 ცეცხლმაქრი ორსართულიან შენობაში, 2 ცეცხლმაქრი ახლად დამატებულ ფართში). სკოლას საშტატო განრიგით განსაზღვრული ჰყავს დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც ასევე წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტს. აღნიშნული პირი ზედამხედველობას უწევს დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების საკითხებს, აფასებს არსებულ და მოსალოდნელ რისკებს, გეგმავს და ატარებს პრევენციული ღონისძიებებს. გარდა ამ ფუნქციებისა, დასაქმებული პასუხისმგებელია სკოლაში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სახანძრო უსაფრთხოების პირობების დაგეგმვასა და განხორციელებაზე; ასევე, სამ თვეში ერთხელ, სკოლის პერსონალთან და მოსწავლეებთან ტრენინგის ჩატარებაზე სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ხანძრის ან დაკვამლიანების შემთხვევაში ტერიტორიდან უსაფრთხო ევაკუაციის საკითხების სწავლებას. სკოლის თანამშრომელთაგან ორივე სივრცეში გამოყოფილია ორ-ორი თანამშრომელი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საფრთხის წარმოქმნისას ევაკუაციაზე, სამაშველო სიგნალის გაგზავნაზე, საგანგებო სიტუაციების ცენტრში სატელეფონო ზარის შესრულებაზე (112), ასევე ევაკუირებული თანამშრომლების და მოსწავლეების აღრიცხვაზე. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, უსაფრთხოების სხვა ზომებთან ერთად, დეტალურად არის აღწერილი შპს ოქლიფის სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში. გარდა ამისა, დაწესებულებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს შპს ოქლიფის სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც საგანგებო სიტუაციებში (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.) მოქმედების ზოგადი წესს არეგულირებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ცეცხლმაქრების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 2. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება; 3. განხორციელებული ტრენინგის აღწერილობა და სამუშაო გეგმა; 4. შპს ოქლიფის სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი; 5. შპს ოქლიფის სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა ოქლიფის ორსართულიანი შენობის ორივე სართულსა და ახლად დამატებულ ფართში გამოკრულია შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უფლებამოსილების მქონე დაწესებულების მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება. 2. საგადახდო დავალება; 3. ხელშეკრულება N-073/07 მომსახურების გაწევის შესახებ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები რეგულირდება შპს ოქლიფის სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით, და შპს ოქლიფის სკოლის სამედიცინო კაბინეტის დებულებით, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია სამედიცინო ტახტით, ტიხრული შირმით, კარადით, ონკანით, აუცილებელი სამედიცინო ინვენტარითა და მედიკამენტებით. სკოლაში დასაქმებულია No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომელიც აწარმოებს სამედიცინო შემთხვევებისა და მედიკამენტების აღრიცხვის ფორმებს, აღნიშნული წესის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება; 2. ექიმის პირადი საქმე; 3. სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 4. შპს ოქლიფის სკოლის სამედიცინო კაბინეტის დებულება; 5. შპს ოქლიფის სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; 6. ექიმთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიფის სკოლაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებს ძირითადად ორი დოკუმენტი არეგულირებს: შპს ოქლიფის სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და შპს ოქლიფის სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლის ინფრასტრუქტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, შპს ოქლიფის სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა გადაადგილების, მათი მეთვალყურეობისა და პერსონალის მორიგეობის წესებს. ვინაიდან, სკოლა ფუნქციონირებს გვერდი-გვერდ განთავსებულ ორ დამოუკიდებელ შენობაში, და სკოლის პერიმეტრი არ არის შემოსაზღვრული (თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ სკოლის ფართი განთავსებულია ე.წ. შიდა ეზოში და შეხება არ აქვს სამანქანო ტრასასთან), უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების გადაწყვეტილებით, დაგეგმილია დამატებითი პრევენციული ზომები. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულია ორი დაცვის თანამშრომელი და ერთი დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი / შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლებსაც გადანაწილებული აქვთ პერიმეტრის კონტროლი, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ზედამხედველობა, და მოსწავლეთა გადაადგილების მეთვალყურეობა. გარდა ამისა, დამატებითი უსაფრთხოების ზომებისათვის, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის მორიგეობის განრიგი, რომელიც აზუსტებს მორიგე პირების ვინაობას, მორიგეობის დროს და ინტერვალს. შპს ოქლიფის სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის თანახმად, დაუშვებელია მოსწავლის გადაადგილება ერთი შენობიდან მეორეში, მეთვალყურეობის გარეშე. შესვენებებისა და სპორტული აქტივობების დროს, მუდმივად მიმდინარეობს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კონტროლი მორიგე თანამშრომლებისა და უსაფრთხოებაზე პასუხისგებელი პირების მიერ. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა ასევე აზუსტებს შენობის გარეთ დასაშვებ ტერიტორიას და მის საზღვრებს, ისევე როგორც მოსწავლეთა გარე პერიმეტრზე გადაადგილების წესს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდგომ. დაწესებულების წარმომადგენლებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ყველნაირი მცდელობა, შექმნას მაქსიმლურად უსაფრთხო გარემო როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე თანამშრომლებისათვის, არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით. მშობლები მიიჩნევენ, რომ შვილები დაცულ გარემოში იღებენ განათლებას და სკოლის შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმად, სწორედ მშვიდ, უსაფრთხო და სტრესისგან თავისუფალ ატმოსფეროს ასახელებენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ოქლიფის სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი; 2. შპს ოქლიფის სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; 3. დაცვის თანამშრომლებთან და დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერთან გასაუბრება; 4. მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრი სრულად აღჭურვილია გამართული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, რომელიც შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. კერძოდ, სკოლის ორივე შენობაში დამონტაჟებულია საერთო ჯამში 9 შიდა და 8 გარე კამერა. სკოლის შენობების მთავარ შესასვლელებში დამონტაჟებულია ორ-ორი კამერა ურთიერთმკვეთი მიმართულებით. ასევე, კონტროლდება სკოლის ორივე შენობის უკანა ტერიტორია, გარე სპორტული მოედანი, შენობებს შორის გადასაადგილებელი პერიმეტრი. კამერების მიერ გადაცემული კადრები აისახება ორ მონიტორზე, რომლებიც მუდმივად კონტროლდება სკოლის დაცვის თანამშრომლების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 2. ვიზუალური დათვალიერება; 3. დაცვის თანამშრომლებთან და დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიფის სკოლას შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი და სკოლის დებულება. გარდა ამისა, ეფექტური საქმიანობისათვის დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ისეთი მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორებიცაა: შპს ოქლიფის სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, შპს ოქლიფის სკოლაში მშობელთან კომუნიკაციის წესი, შპს ოქლიფის სკოლის ბიბლიოთეკის დებულება და შპს ოქლიფის სკოლის საქმისწარმოების წესი. სკოლის შინაგანაწესი აზუსტებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა დისკრიმინაციის დაუშვებლობა, თანამშრომლის პირადი საქმეების წარმოების წესი, დაწესებულების პერსონალისთვის მოქმედი ზოგადი ეთიკური ნორმები; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; წახალისებისა და დისციპლინური წარმოების ფორმები, და სხვ. შპს ოქლიფის სკოლის დებულება შედგება 44 მუხლისგან. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის სტატუსსა და საქმიანობის საგანს, მიზანს, სკოლის სტრუქტურასა და მართვას, თანამშრომლების ძირითად ვალდებულებებს, მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა უფლებებს, სასწავლო პროცესის ორგანიზების წესს, პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი დეპარტამენტების ფუნქციებს. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ოქლიფის სკოლის შინაგანაწესი; 2. შპს ოქლიფის სკოლის წესდება; 3. შპს ოქლიფის სკოლის დებულება; 4. შპს ოქლიფის სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი; 5. შპს ოქლიფის სკოლაში მშობელთან კომუნიკაციის წესი; 6. შპს ოქლიფის სკოლის ბიბლიოთეკის დებულება; 7. შპს ოქლიფის სკოლის საქმისწარმოების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში სკოლის სტრატეგიულ მიზნებად სახელდება: 1. ორგანიზაციული განვითარება; 2. ინფრასტრუქტურის განვითარება; 3. ხარისხის განვითარება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	4. სწავლების და მართვის ინტერნაციონალიზაცია; 5. საზოგადოებასთან თანამშრომლობა, ცნობადობის შექმნა და გაზრდა. გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის აღწერილი თითოეული მიმართულება, წარმოდგენილია სტრატეგიის დანერგვის კალენდარი და შესრულების ინდიკატორები, ექვსწლიანი ციკლის ჭრილში. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს განვითარების გრძელვადიანი გეგმიდან და აზუსტებს სტრატეგიული მიზნების შესრულებისათვის განსახორციელებლ ამოცანებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებსა და დროის პერიოდს. დაწესებულებამ წარმოადგინა SWOT ანალიზი, რომელიც სიღრმისეულად აფასებს სკოლის განვითარების ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, რისკებს და შესაძლებლობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სკოლის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა; 2. სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედ გეგმა; 3. SWOT ანალიზი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიფის სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში ოფიციალური კორესპონდენციის მიღების, რეგისტრაციის ჟურნალებსა და დოკუმენტებზე ინდექსის მინიჭების, შემოსული და გასული კორესპნოდენციის რეგისტრაციაში გატარების, კოლეგიური ორგანოების ოქმების აღრიცხვისა და სხვა სახის დოკუმენტაციის წარმოების წესებს. დაწესებულება აწარმოებს შემდეგი სახის ჟურნალებს: 1. საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. დროებითი კოლეგიური ორგანოების ოქმები რეგისტრაციის ჟურნალი; 3. მომსახურების და სხვა სახის ხელშეკრულებების და მემორანდუმების სარეგისტრაციო ჟურნალი; 4. მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის და მოსწავლესთან დაკავშირებით გამოცემული სხვა სახის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; 5. მმართველობითი შინაარსის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; 6. შემოსული კორესპოდენციის რეგისტრაციის ჟურნალი; 7. გასული კორესპოდენციის რეგისტრაციის ჟურნალი; 8. დისციპლინური კომიტეტის ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი; 9. ხარისხის ჯგუფის ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი; 10. ენებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტის სხდომის ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი; 11. მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და სპორტის დეპარტამენტის ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი; 12. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი; 13. საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; 14. შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; 15. ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი (პერსონალი); 16. ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი (მოსწავლეები); 17. შიდა მიმოწერის აღრიცხვის ჟურნალი. დაწესებულებას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც სკოლის საქმისწარმოების წესის შესაბამისად, ამზადებს სხვადასხვა სახის საქმიან კორესპონდენციას, უზრუნველყოფს აღნიშნული კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის წარმოებას, დახარისხებას და შენახვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ოქლიოფის სკოლის საქმისწარმოების წესი; 2. გაცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები; 3. საქმისმწარმოებელთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიფის სკოლაში დასაქმებულია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის შესაბამისი პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალი. ადმინისტრაციის თანამშრომლები: 1 დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე საოპერაციო მიმართულებით, 1 დირექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით, 1 IFG პროგრამის კოორდინატორი, 1 სოციალური მედია მენეჯერი, 1 ადმინისტრაციული მენეჯერი, 1 სამეურნეო მენეჯერი, 1 საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, 1 ბუღალტერი, 1 ექიმი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 იურისტი, 1 ბიბლიოთეკის მენეჯერი, 1 დსიციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი / შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, 2 დაცვის თანამშრომელი, 1 დამლაგებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პედაგოგიური პერსონალი: სულ 19 მასწავლებელი, მათ შორის 6 დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების/კურსის განმახორციელებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. თანამშრომელთა პირადი საქმეები; 2. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები; 3. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა; 4. დაწესებულების საშტატო განრიგი; 5. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან E-school. 6. სკოლის პერსონალთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	19
მოწვეული/მაძიებელი	10 მოწვეული მასწავლებელი (მათ შორის 3 უფროსი მასწავლებლის სტატუსით)
პრაქტიკოსი მასწავლებელი	-
უფროსი მასწავლებელი	1
წამყვანი მასწავლებელი	1
მენტორის სტატუსი	1

შენიშვნა: დამატებითი სავალდებულო საგნების / კურსის განმახორციელებელი პედაგოგი - 6

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თითოეულ მათგანს უდასტურდება შესაბამისი საგნის სწავლებისა თუ დამატებითი სავალდებულო მომსახურების განხორციელების კვალიფიკაცია. დაწესებულებაში დასაქმებულია 19 პედაგოგი: აქედან 6 დამატებითი სავალდებულო საგნის / კურსის განმახორციელებელი, 1 მენტორი, 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წამყვანი, 1 უფროსი, და 10 მოწვეული მასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ მოწვეული მასწავლებლებიდან სამ პედაგოგს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, თუმცა გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე (მცირე საათობრივი დატვირთვა და ვაკანტური ადგილის მოკლედ დროში შევსების საჭიროება), მათთანაც გაფორმებულია მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება შესაბამისი საათობრივი განაკვეთის დაცვით (მაქსიმუმ 9 საათი). **დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა, აღნიშნულ სამ პედაგოგთან გაფორმდეს სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულება, რაც სკოლას, საჭიროების შემთხვევაში, ამ პედაგოგების საათობრივი დატვირთვის ზრდის შესაძლებლობას მისცემს.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. მასწავლებელთა პირადი საქმეები; 2. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; 3. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა; 4. დაწესებულების საშტატო განრიგი; 5. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან e-school. 6. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ოქლიოფის სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. შრომითი ხელშეკრულება კი თავის მხრივ არეგულირებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესებს. სკოლის დებულება აზუსტებს თითოეული თანამდებობის პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, რასაც ლოგიკურად ებმის შინაგანაწესში განსაზღვრული წახალისებისა და სანქციების სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ოქლიოფის სკოლის შინაგანაწესი; 2. სკოლის წარმომადგენლებთან და იურისტთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პედაგოგებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შედგება ყველა არსებითი პუნქტისაგან: ხელშეკრულების საგანი, დასაქმებულის დატვირთვა და სამუშაოს შესრულების ადგილი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურება და ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების წესი, შვებულების ხანგრძლივობა და სარგებლობის წესი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შრომითი ურიერთობის ხანგრძლივობა და ხელშეკრეულების შეწყვეტის წესი, დასკვნითი დებულება, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. ხელშეკრულებები აღრიცხულია და გატარებულია შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები; 2. მასწავლებლებთან და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; 3. დაწესებულების საშტატო განრიგი; 4. შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; 5. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა ოქლიფის სტრატეგიული განვითრების გეგმის პირველ პუნქტს წარმოადგენს ადამიანური რესურსის განვითარება, რომელიც სრულად არის გადანაწილებული ექვსწლიან ციკლზე. სკოლის იდეის გათვალისწინებითა და საერთაშორისო მოსამზადებელ (IFG) პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უზრუნველსაყოფად სკოლა მუდმივად ზრუნავს კვალიფიციური კადრის მოზიდვასა და სკოლის ბაზაზე მათი პროფესიული განვითარებისათვის. მასწავლებლებთან და ადმიანისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სკოლაში შექმნილია ყველა პირობა თანამშრომელთა პროფესიული ზრდისათვის. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია ოქლიფის სკოლის პერსონალის დაქირავების, სამუშაო გარემოს ორგანიზების, ახლადაყვანილი თანამშრომლების ადაპტაციის, პროფესიული განვითარების და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესები. სკოლაში ადამიანური რესურსების შეფასება მიზნად ისახავს გამოავლინონ ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რათა მოხდეს მიზნობრივი ინტერვენციების დაგეგმვა. მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებლის, ასევე, მოწვეული მასწავლებლის საქმიანობის შეფასებას ახორციელებს სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, საკუთარი დებულებით განსაზღვრული წესით. ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, გასული სასწავლო წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოს გაანალიზებით. თანამშრომელი და მისი უშუალო ხელმძღვანელი, ყოველი სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს პირველ ოქტომბრამდე დიალოგის გზით თითოეულ სამუშაო ფუნქციას და თანხმდებიან პროფესიული განვითარების საჭიროებაზე, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა; 2. სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი; 3. მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის თვითშეფასების, რეფლექსიისა თუ საჭიროებების დადგენის კითხვარები; 4. ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; 5. მასწავლებლებთან და პერსონალთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და თანამშრომლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობა. შპს ოქლიფის სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ფუნქცია-მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. რამდენადაც, ოქლიფის სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას და წამყვანი სასწავლო სტატეგია არის პროექტული სწავლება, სასკოლო საზოგადოების ძირითად მახასითებელს წარმოადგენს გუნდურობა, გაზიარებული ლიდერობა, თანამშრომლობითი სასკოლო კულტურა. ამასთანავე, პროექტული მუშაობით ხდება არაფორმალური განათლების გაძლიერება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლაში კეთილგანწყობილი და პოზიტიური გარემოს შექმნას. მშობლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება სკოლის მიმართ მიკუთვნებულობის განცდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. სკოლა ზრუნავს თითოეული მოსწავლის ინტერესების გამოვლენისათვის. თითოეული მოსწავლისათვის შექმნილია ონლაინ პორტფოლიო, რომელიც ასახავს მოსწავლის მიღწევებს, ინტერესებსა და განხორციელებულ პროექტებს. აღნიშნული პორტფოლიოს გაზიარება შესაძლებელია დაინტერესებული საგანამანთლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებისათვის, რაც კიდევ დამატებითი შესაძლებლობაა მოსწავლის სამომავლო კარიერული ორიენტაციის განსაზღვრაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული მზრუნველობითი გარემო და პოზიტიური დამოკიდებულებები ნამდვილად წარმოადგენს სკოლის ძლიერ მხარეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ოქლიოფის სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; 2. მოსწავლის პორტფოლიო; 3. სასკოლო საზოგადოებაში ჩართულ მხარეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	**დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა, აღნიშნულ სამ პედაგოგთან გაფორმდეს სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულება, რაც სკოლას, საჭიროების შემთხვევაში, ამ პედაგოგების საათობრივი დატვირთვის ზრდის შესაძლებლობას მისცემს.**
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

....

ქ. თბილისი 09.12.2022

გვერდების რაოდენობა 47

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.